საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობაიძე (კაბაიძე) ვლადიმერ პავლეს ძე

ვ. კობაიძე

კობაიძე (კაბაიძე) ვლადიმერ პავლეს ძე (24.I. 1924, სოფ. ჩირიკი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 18.IX. 1998, ივანოვო, რუსეთი), ჩარხმშენებელი, სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1978), II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. სოც. შრომის გმირი (1985). 1952 დაამთავრა მოსკოვის ჩარხმშენებლობის ინ-ტი და მუშაობა დაიწყო ქ. რიაზანის ჩარხსაშენებელ ქ-ნაში ინჟინრად. 1970–76 იყო ქ. ივანოვოს ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების დირექტორი, 1976-იდან – გენ. დირექტორი, 1985-იდან – ბულგარეთისა და ქ. ივანოვოს ერთობლივი ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენ. დირექტორი. 1978 კ-ის ხელმძღვანელობით იმავე საწარმოში შეიქმნა მრავალპროფილიანი ჩარხი – ე. წ. „დამამუშავებელი ცენტრი“, რისთვისაც სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. ამ ჩარხმა იმავე წელს იტალიაში გამართულ გამოფენაზე მსოფლიო აღიარება მოიპოვა. კ-მ შექმნა ამ ტიპის ჩარხის 35 სახესხვაობა, რ-ებიც წარმატებით იყიდებოდა მსოფლიოს 43 ქვეყანაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი (1981, 1986).